ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3523096

ნომერი: AR1534718

თარიღი : 23.08.2017

გაცემის თარიღი : 07.09.2017

გაცნობის თარიღი : 08.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. წერეთლის, მესხიშვილის და ვახტანგ VI-ის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის №1643672 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 აგვისტოს AR1534718 განცხადებით მომართა მოქალაქე ილია ხავთასმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის №1643672 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის

№1643672 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, გ. წერეთლის, მესხიშვილის და ვახტანგ VI-ის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.01.018.024; ფართობი: 200 კვ.მ.) სასტუმროს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებულ იქნა შენიშვნა: „1) გათვალისწინებული იქნეს: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დ/13/12/69 04.12.2014 წერილში მითითებული რეკომენდაციები. საპროექტო შენობის სიმაღლედ განისაზღვროს გვერდით არსებული (სამსართულიანი) შენობის სიმაღლე;“, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული პირობის ამოღება დოკუმენტიდან.
აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე“, სადაც დაფიქსირდა დადებითი რეკომენდაცია.
დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, რაც მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისას ფიქსირდებოდა, მიწის ნაკვეთის ფართი და საკადასტრო კოდი უცვლელია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის №1643672 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის №1643672 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ამოღებულ იქნას ჩანაწერი: „1) გათვალისწინებული იქნეს: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დ/13/12/69 04.12.2014 წერილში მითითებული რეკომენდაციები-საპროექტო შენობის სიმაღლედ განისაზღვროს გვერდით არსებული (სამსართულიანი) შენობის სიმაღლე;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 დეკემბრის №1643672 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.